ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 5

12 დეკემბერი , 2017 წელი
16 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გიორგი ბირბიჩაძე

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

სხდომას ესწრებოდა აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი მალანია და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი გოგი მუსხელიშვილი.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა სხდომაზე 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილ პროგრამებზე და ქვეპროგრამებზე ისაუბრა. კომისიის თავმჯდომარემ აქცენტი გააკეთა კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულ თანხებზე და აღნიშნა, რომ ხსენებული სამუშაოებისთვის წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია 500 000 ლარი, რაც უნდა მოხმარდეს 7000 ერთეული სამისამართო აბრის დამზადება-მონტაჟის სამუშაოებს.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ კომისიას ოფიციალური ციფრები ჯერ არ აქვს, წინასწარი მონაცემებით, აბრების მონტაჟის კუთხით დაგეგმილი სამუშაოები სრულყოფილად სრულდება. არსებული ინფორმაციით, ქალაქის მასშტაბით უკვე დამონტაჟებულია დაახლოებით 13000 ერთეული მისამართის აღმნიშვნელი აბრა, ასევე დამონტაჟდა 105 ერთეული დგარზე განთავსებული მიმანიშნებელი აბრა.

თინათინ ნიბლოშვილის შეკითხვაზე, თუ რამდენად შეცვლის ფონს 7000 ერთეული ახალი სამისამართო აბრა, გიორგი მალანიამ უპასუხა, რომ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტით ერთეული აბრის სავარაუდო ღირებულება 71,40 ლარს შეადგენს. ხსენებული ფასის შესაძლო კლების შესახებ კომისიამ

საკითხი უკვე დააზუსტა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელთან. კონკურენციის პრაქტიკის გათვალისწინებით, ტენდერის ჩატარების შემდეგ მოსალოდნელია მითითებული სავარაუდო ღირებულების კლება, რასაც განსათავსებელი აბრების რაოდენობის ზრდა მოჰყვება.

სხდომაზე კომისიის წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა სამისამართო აბრების დიზაინზე, ასევე სადარბაზოების ნუმერაციის აუცილებლობაზე ისაუბრეს და კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურსა და სამშენებლო კომპანიების ურთიერთობის აუცილებლობაზე გააკეთეს აქცენტი.

თინათინ ნიბლოშვილის და კომისიის წევრების შეკითხვებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი მალანიამ უპასუხა.

გადაწყვიტეს: ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

თ. ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

12 დეკემბერი, 2017 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი